



საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ  
GEORGIAN NATIONAL UNIVERSITY SEU

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს  
სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დებულება

დამტკიცებულია  
რექტორის 2020 წლის 3 სექტემბრის №494 ბრძანებით

თბილისი  
2020

## თავი 1. ზოგადი დებულებები

### მუხლი 1. რეგულირების სფერო

წინამდებარე სტანდარტი არეგულირებს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ“-ს, (შემდგომში - უნივერსიტეტი) სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, მისი მართვის, ფინანსურ საკითხებს და პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემას.

### მუხლი 2. დებულების სამართლებრივი საფუძველი

უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, კანონმდებლობას, კანონქვემდებარე აქტებს, უნივერსიტეტის მისიას, დებულებას, მის ძირითად ღირებულებებსა და პრინციპებს.

### მუხლი 3. უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის მიზნები

1. აკადემიურ თავისუფლებაზე დაყრდნობით, უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მიზანია:

- ა) ხელი შეუწყოს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-შემოქმედებითი პოტენციალის განვითარებას - ძირითადად გამოყენებითი, თუმცა, ასევე ფუნდამენტური კვლევების განხორციელებას, რომელიც ორიენტირებული იქნება არსებული ცოდნის გაფართოებასა და ახლის შექმნაზე;
- ბ) უზრუნველყოს ახალი ცოდნის შექმნა და გაზიარება საზოგადოებაში, ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში;
- გ) შექმნას შესაბამისი პირობები აკადემიური პერსონალის კვლევითი პროდუქტიულობის ზრდისათვის;
- დ) ხელი შეუწყოს სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარებასა და ახალი თაობის მეცნიერთა მომზადებას;
- ე) უზრუნველყოს სამაგისტრო და შემდგომში სადოქტორო კვლევებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა;
- ვ) ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო პროგრამებში სამეცნიერო კვლევების იმპლემენტაციას;
- ზ) უცხოელ პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით ხელი შეუწყოს საქმიანობის ინტერნაციონალიზაციას.

## თავი 2. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მართვა

### მუხლი 4. ორგანიზაციული სტრუქტურა და ფუნქციები

1. სამეცნიერო კვლევების საორგანიზაციო საკითხებს უნივერსიტეტში კურირებს ვიცე-რექტორი სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით.
2. სამეცნიერო-კვლევითი განვითარებისა და პროექტების მართვის სამსახურის საქმიანობის მიზანია, აკადემიურ თავისუფლებაზე დაყრდნობით, ხელი შეუწყოს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-შემოქმედებითი პოტენციალის განვითარებას და შექმნას შესაბამისი პირობები აკადემიური პერსონალის კვლევითი პროდუქტიულობის ზრდისათვის, ასევე, ხელი შეუწყოს სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარებას, საგანმანათლებლო პროგრამებში სამეცნიერო კვლევების იმპლემენტაციასა და უცხოელ პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით საქმიანობის ინტერნაციონალიზაციას.
3. სამეცნიერო-კვლევითი განვითარებისა და პროექტების მართვის სამსახურის სტრუქტურა, ფუნქციები და საქმიანობის წესი განისაზღვრება უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დებულებით.

### მუხლი 5. ვიცე-რექტორი სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით

1. სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას უნივერსიტეტში კოორდინაციას უწევს ვიცე-რექტორი სამეცნიერო კვლევითი მიმართულებით.
2. სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით ვიცე-რექტორის საქმიანობის მიზანია სეუ-ს სამეცნიერო-კვლევითი პოლიტიკით განსაზღვრული მიმართულებებით უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორგანიზება და შესაბამისი აქტივობების ხელშეწყობა
3. ვიცე-რექტორი სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით:
  - ა) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის კვლევითი აქტივობების დაგეგმვასა და მართვას;
  - ბ) კოორდინირებს და მონიტორინგს უწევს კვლევების სტრატეგიის განხორციელებას;
  - გ) ყოველწლიურად შეიმუშავებს კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობ მუხარზმებს;
  - დ) გეგმავს და მონიტორინგს უწევს საერთაშორისო თანამშრომლობის პროცესს კვლევითი საქმიანობას ინტერნაციონალიზაციის მიზნით;
  - ე) კოორდინაციას უწევს ინსტიტუციური კვლევითი ფონდის (IRF) საქმიანობასთან დაკავშირებულ აქტივობებს;
  - ვ) თავმჯდომარეობს ინსტიტუციური კვლევითი ფონდის მრჩეველთა საბჭოს ხდომებს. უზრუნველყოფს აკადემიურ საბჭოსათვის ინსტიტუციური კვლევითი ფონდის წლიურ გეგმის წარდგენას;
  - ზ) უზრუნველყოფს აკადემიური საბჭოსთვის უნივერსიტეტის კვლევითი აქტივობების, შესაძლებლობებისა და კვლევითი რესურსების შესახებ წლიურ ანგარიშების მომზადებას;
  - თ) კოორდინირებას უწევს სადოქტორო პროგრამების შემუშავების საჭიროების დადგენასთან დაკავშირებულ საკითხებს;
  - ი) ფაკულტეტის დეკანებთან ერთად შეიმუშავებს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ღონისძიებების ყოველწლიურ გეგმას/კალენდარს;

- კ) გეგმავს და კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის ფარგლებში მიმდინარე სამეცნიერო-საგრანტო პროექტებს და ახორციელებს მონიტორინგის მათ შესრულებაზე;
- ლ) კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალების, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების სამეცნიერო შრომების გამოცემას;
- მ) ხელს უწყობს კვლევითი ერთეულების დაფუძნებასა და მათი საქმიანობის სწორად წარმართვას.

## მუხლი 6. პროექტების მართვის მენეჯერი

1. სამეცნიერო-კვლევითი განვითარების მიმართულებით პროექტების ორგანიზაციულ მართვას ახორციელებს პროექტების მართვის მენეჯერი.
2. პროექტების მართვის მენეჯერის საქმიანობის ძირითადი მიაზანია აკადემიური პერსონალის კვლევითი პოტენციალის ზრდის ხელშეწყობა, მათი შიდა და გარე საგრანტო პროექტებში ჩართვა.
3. პროექტების მართვის მენეჯერის ფუნქციებია:
  - ა) ორგანიზება გაუწიოს შიდასაუნივერსიტეტო კვლევითი გრანტების გამოცხადებისა და კონკურსის ჩატარების პროცესს;
  - ბ) მონაწილეობა მიიღოს საუნივერსიტეტო კვლევითი გრანტების განხორციელების მონიტორინგში;
  - გ) საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურთან ერთად, ხელი შეუწყოს კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციას საერთაშორისო თანამშრომლობის მიმართულებით;
  - დ) მოიძიოს სამეცნიერო-სასწავლო გრანტის გამცემი ორგანიზაციები, მოიპოვოს ინფორმაცია საგრანტო კონკურსების შესახებ და გაავრცელოს ვებგვერდის ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით;
  - ე) გაუწიოს კონსულტაცია დაინტერესებულ პირებს სამეცნიერო სასწავლო გრანტის მოძიების საკითხებზე და აღმოუჩინოს კონკრეტული დახმარება (კომპეტენციის ფარგლებში) საკონკურსო მასალის მომზადებისთვის;
  - ვ) შეაფასოს აკადემიური პერსონალის საჭიროება სამეცნიერო/სასწავლო გრანტების მოძიებისა და საგრანტო განაცხადის შედგენის ტექნიკების შესახებ, მოამზადოს სატრენინგო პროგრამა და მიაწოდოს ინფორმაცია უწყვეტი განათლების ცენტრს;
  - ზ) პერიოდულად გაანალიზოს აკადემიური პერსონალის და უნივერსიტეტის კვლევითი ცენტრების ანგარიშები და მოამზადოს შესაბამისი ანგარიში;
  - თ) დაეხმაროს აკადემიურ პერსონალს კონკრეტული სამეცნიერო შრომის რეფირირებად, რეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალში განთავსებასთან დაკავშირებით;
  - ი) კოორდინაციას უწევს ინსტიტუციური კვლევითი ფონდის (IRF) საქმიანობასთან დაკავშირებულ აქტივობებს;
  - კ) ორგანიზება გაუწიოს უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან და კვლევით ცენტრებთან დაინტერესებულ, უცხოელი მკვლევარების თანამშრომლობას;
  - ლ) სამეცნიერო კვლევების კომერციალიზაციის მიზნით, უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო და ადამიანური რესურსების ჩართულობით შექმნას სტეიკჰოლდერების/პარტნიორების სპეციალური პლატფორმა და ხელი შეუწყოს მათ ურთიერთკავშირს;
  - მ) შეასრულოს უშუალო ხელმძღვანელის სხვა დავალებები.

## მუხლი 7. სამეცნიერო აქტივობების მენეჯერი

1. სამეცნიერო კვლევით აქტივობებს ასრულებს სამეცნიერო აქტივობების მენეჯერი.
2. სამეცნიერო აქტივობების მენეჯერის საქმიანობის ძირითადი მიზანია უზრუნველყოს სამეცნიერო აქტივობების ჩატარება, ხელი შეუწყოს აკადემიური კეთილსინდისიერების დანერგვას ანტიპლაგიატის სისტემის მეშვეობით.
3. სამეცნიერო აქტივობების მენეჯერის ფუნქციებია:
  - ა) ორგანიზება გაუწიოს უნივერსიტეტში ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმების, კონფერენციებისა და კონკურსების ჩატარებას;
  - ბ) მოიძიოს საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმები, კონფერენციები, სემინარები და უზრუნველყოს აკადემიური პერსონალის ინფორმირება და ხელშეწყობა, შესაბამისი სამეცნიერო აქტივობების განსახორციელებლად;
  - გ) ბიბლიოთეკის უფროსთან ერთად, შეაფასოს სამეცნიერო დანიშნულების ბეჭდური და ციფრული რესურსის საჭიროება და საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს ახალი რესურსის მოთხოვნის ინიცირება;
  - დ) ორგანიზება გაუწიოს უნივერსიტეტის საგამომცემლო საქმიანობას, მათ შორის, უნივერსიტეტის სამეცნიერო პერიოდულად ჟურნალის გამოქვეყნებას და სტუდენტების სამეცნიერო შრომების განთავსებას ვებგვერდზე;
  - ე) მოახდინოს უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალის სარედაქციო საბჭოს შეკრებების ორგანიზება, მათთვის შრომების გადაცემის, შეფასების უზრუნველყოფა და შესაბამისი საუნივერსიტეტო ჟურნალის ელექტრონულ და ბეჭდურ მასალად გამოცემა;
  - ვ) შეიმუშაოს მეთოდური რეკომენდაციები პლაგიატის პრევენციის საკითხებზე და გააცნოს ის შესაბამის პირებს;
  - ზ) მხარი დაუჭიროს აკადემიურ პერსონალს კონკრეტული სამეცნიერო ნაშრომის რეფერირებად, რეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალში განთავსების პროცესში;
  - თ) მოიძიოს საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმები, კონფერენციები, სემინარები და უზრუნველყოს აკადემიური პერსონალის ინფორმირება და მხარდაჭერა შესაბამისი სამეცნიერო აქტივობის განხორციელების მიზნით;
  - ი) საჭიროების შემთხვევაში, ორგანიზება გაუწიოს IRF მრჩეველთა საბჭოს შეკრებას;
  - კ) შეასრულოს უშუალო ხელმძღვანელის სხვა დავალებები.

## თავი 3. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მართვა

### მუხლი 8. ინსტიტუციური კვლევითი ფონდი

1. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით უნივერსიტეტში შექმნილია ინსტიტუციური კვლევითი ფონდი (შემდგომში ფონდი).
2. ფონდის მიზნებია:
  - ა) გააუმჯობესოს კვლევის დაფინანსების მექანიზმები;
  - ბ) ხელი შეუწყოს და წახალისოს პროექტების განვითარება ყველა მიმართულებით, განსაკუთრებით ინოვაციური პროექტები;
  - გ) დაეხმაროს „სეუ“-ს აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს კვლევითი საქმიანობის და

პროექტების მომზადებასა და მართვაში;

ე) ხელი შეუწყოს წარმატებული აკადემიური პერსონალის მოზიდვას „სეუ“-ში;

ვ) უზრუნველყოს სამეცნიერო კვლევების დაფინანსება;

ზ) უზრუნველყოს სამეცნიერო კვლევის განვითარების ღონისძიებათა თანმიმდევრულობა და მკვლევარების კვლევისთვის საჭირო ინფრასტრუქტურით აღჭურვა;

ი) ხელი შეუწყოს ინოვაციური ინტერდისციპლინარული და მულტიდისციპლინარული კვლევების იდეების ჩამოყალიბებას;

კ) ხელი შეუწყოს აკადემიურ პერსონალს კვლევის ჩასატარებლად გარე გრანტების მოძიებაში.

## მუხლი 9. ფონდის დაფინანსების წყაროები

1. ინსტიტუციური კვლევითი ფონდის დაფინანსება მიმართულია, უზრუნველყოს კვლევითი საქმიანობის სტაბილური, ინსტიტუციონალური დახმარება და მოახდინოს უშუალოდ უნივერსიტეტის აფილირებული პერსონალის კვლევების წახალისება.

2. ფონდი ფინანსდება უნივერსიტეტის შემოსავლების ყოველწლიური ბიუჯეტიდან, მათ შორის, სწავლისა და ბაზარზე შეთავაზებული საკონსულტაციო მომსახურების საფასურიდან, ასევე, გარე გრანტებით დაფინანსებული პროექტებით მოპოვებული ბიუჯეტიდან.

3. ფონდის წლიური ბიუჯეტი მტკიცდება ყოველწლიურად რექტორის ბრძანებით და შეადგენს უნივერსიტეტის წლიური შემოსავლის მინიმუმ 0,75%.

4. უნივერსიტეტის ფინანსური კომიტეტის დასაბუთებულ წინადადებაზე დაყრდნობით, ფონდის წლიური ბიუჯეტი შეიძლება გაიზარდოს 1.5%-მდე.

## მუხლი 10. ფონდის სტრუქტურა

1. საკუთარი მიზნებისა და აქტივობების განსახორციელებლად ფონდში შექმნილია მრჩეველთა საბჭო და საკონკურსო კომისია.

2. ფონდის ორგანიზაციულ ადმინისტრირებას ახდენს ფონდის სამდივნო.

## მუხლი 11. მრჩეველთა საბჭო

1. ფონდის მრჩეველთა საბჭო შედგება 7 წევრისგან: **2 ვიცე-რექტორი** - სამეცნიერო-კვლევითი და ფინანსებისა და რესურსების მიმართულებით, ასევე, 5 აკადემიური პერსონალი.

2. ხუთი აკადემიური პერსონალიდან 2 უნდა იყოს სეუ-ს პროფესორი, ხოლო 3 სხვა უნივერსიტეტის პროფესორები. აქედან, სასურველია, მინიმუმ ერთი იყოს უცხოური უნივერსიტეტის პროფესორი, ხოლო ორი - ადგილობრივი უნივერსიტეტიდან მოწვეული პროფესორი.

3. მრჩეველთა საბჭოს ფუნქციებია:

ა) პრიორიტეტების დადგენის მიზნით ფონდის სამწლიანი სტრატეგიის შემუშავება;

ბ) ფონდის პროცედურების განხილვა;

გ) საკონკურსო კომისიის ზედამხედველობა და მათი მოხსენებების შეფასება;

დ) საკონკურსო კომისიის ყოველწლიური დაკომპლექტება;

ე) კვლევითი მიმართულების ვიცე-რექტორისათვის რჩევების მიცემა;

4. მრჩეველთა საბჭო ინიშნება აკადემიური საბჭოს მიერ, ვიცე-რექტორის წარდგინების საფუძველზე 5 წლის ვადით.
5. მრჩეველთა საბჭო იკრიბება წელიწადში მინიმუმ 2-ჯერ. მის სხდომებს თავმჯდომარეობს ვიცე-რექტორი სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით.
6. მრჩეველთა საბჭო გადაწყვეტილებას იღებს კრებაზე დამსწრეთა უმრავლესობით.

## **მუხლი 12. საკონკურსო კომისია**

1. საპროექტო წინადადებების შეფასებას ახდენს მრჩეველთა საბჭოს მიერ დანიშნული საკონკურსო კომისია.
2. საკონკურსო კომისიას ირჩევს მრჩეველთა საბჭო 1 წლის ვადით, სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით ვიცე-რექტორის წარდგინების საფუძველზე.
3. საკონკურსო კომისია შედგება 5 წევრისგან, რომელთაგან 1 წევრი უნივერსიტეტის ადმინისტრაციას წარმოადგენს, 3 არის სეუ-ს პროფესორი და 1 ადგილობრივი ან საერთაშორისო ექსპერტი კვლევების მართვის მიმართულებით.
4. იმ კვლევებთან მიმართებით, რომლისთვისაც აუცილებელია ცდის პირებად ადამიანების ჩართვა, კონკრეტული საგრანტო განაცხადის განსახილველად მოწვეული იქნება შიდასაუნივერსიტეტო ეთიკის კომისია. იგი დაადგენს კვლევითი პროექტის ეთიკურობის საზღვრებს და მის შესაბამისობას როგორც ზოგადსაკაცობრიო, ასევე უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ნორმებთან.
5. ეთიკის კომისიაში უნდა შედიოდეს დარგის მინიმუმ 5 სპეციალისტი, რომელთაგან მინიმუმ 3 არ უნდა იყოს უნივერსიტეტის პერსონალი.

## **მუხლი 13. სამდივნო**

1. საორგანიზაციო პროცესის მართვას ახორციელებს **ფონდის სამდივნო**, რომელსაც ნიშნავს ვიცე-რექტორი სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით.
2. ფონდის სამდივნო კონსულტაციას უწევს პოტენციურ განმცხადებლებს და მხარს უჭერს მათ საგრანტო პროექტის შედგენასა და შემდგომი განხორციელების პროცესში.
3. ფონდის სამდივნო ასევე ამზადებს მრჩეველთა საბჭოსა და საკონკურსო კომისიის შეხვედრებს, ესწრება მათ შეხვედრებს და ამზადებს საოქმო ჩანაწერებს.

## **თავი 4. სამეცნიერო -კვლევითი გრანტის მართვის პროცესი**

### **მუხლი 14. საგრანტო პროექტები**

1. ფონდის მიერ ფინანსდება ორი ტიპის სამეცნიერო საგრანტო პროექტები: კვლევის განვითარებისათვის მოსამზადებელი გრანტები და სამეცნიერო-კვლევითი ღონისძიებების მხარდამჭერი გრანტები.
2. კვლევის განვითარებისათვის მოსამზადებელი გრანტებია:
  - ა) სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური პროექტების წამოწყება და წინადადებების მომზადება, ახალი იდეების შემუშავება და განვითარება, ინოვაციური წინადადებების შედგენა და კონცეფციის შემუშავება;

ბ) საპილოტე სამეცნიერო-კვლევითი პროექტების წამოწყება, სამომავლოდ გარე კვლევითი გრანტების წარმატებით მოძიების მიზნით;

გ) საზოგადოებრივ და კერძო სექტორში მოღვაწე პრაქტიკოსებთან, კრეატიულ ინდუსტრიებთან ერთობლივი სამეცნიერო პროექტების დაგეგმვა და შემუშავება.

3. სამეცნიერო-კვლევითი ღონისძიებების მხარდამჭერი გრანტებია:

ა) სამეცნიერო განვითარების ღონისძიებები, მათ შორის, მოკლევადიანი სამეცნიერო ვიზიტები სხვა უნივერსიტეტებში, ან კვლევით ინსტიტუტებში საქართველოში, ან მის ფარგლებს გარეთ. ასევე, პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო და კვლევით ინსტიტუტებთან ერთად ერთობლივი პროექტების მომზადების ხელშემწყობი გრანტები;

ბ) კვლევის შედეგების გავრცელება, ჟურნალებისა და მონოგრაფიების გამოქვეყნების დაფინანსება/თანადაფინანსება; აგრეთვე, კვლევითი უნარების განმავითარებელი ტრენინგები მკვლევარების შესაძლებლობების გაზრდის მიზნით;

გ) სამეცნიერო ღონისძიებებზე დასწრება, ტრენინგებისა და სემინარების გამართვა, რომელიც მიზნად ისახავს უნარების გაუმჯობესებას წარმატებული საპროექტო განაცხადების მომზადებაში, გრანტების განკარგვისა და ანგარიშგების მენეჯმენტში;

დ) ინტელექტუალური საკუთრების შედეგების მომზადება, მათი სავარაუდო დაპატენტება და კომერციალიზაცია;

ე) კვლევის შედეგების გავრცელება ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში აქტიური მონაწილეობის გზით.

## მუხლი 15 . გრანტის მიმღები პირები

1. პროექტის ხელმძღვანელის პოზიციის დაკავება შეუძლია მხოლოდ სეუ-ს აფილირებულ პროფესორს.

2. შესაძლებელია, პროექტის გუნდში ჩაერთოს აფილირებული, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ასევე სეუ-ს მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტები და გარე ექსპერტები.

3. პროექტში ჩართული გარე ექსპერტები, შეიძლება იყვნენ უცხოეთიდან მოწვეული, ან საქართველოს სხვა უნივერსიტეტებიდან და კვლევითი ინსტიტუტებიდან მოწვეული თანამშრომლები, როგორც კერძო, ასევე სამთავრობო და სამოქალაქო სექტორიდან.

4. დასაშვებია, ამ დებულების მე-14 მუხლის მე-2 პუნქტში დასახელებული კვლევითი გრანტების მიმღები კვლევითი გუნდის პერსონალის მხოლოდ 20%-ს შეადგენდნენ გარე ექსპერტები/გარე პერსონალი.

5. ამ დებულების მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის დ) ქვეპუნქტში დასახელებული კვლევითი გრანტების მიმღები შეიძლება იყოს მხოლოდ აფილირებული პერსონალი. ხოლო დანარჩენი - ა), ბ), გ) და ე) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გრანტების მიმღები შეიძლება იყოს როგორც აფილირებული პერსონალი, ასევე მოწვეული პერსონალი.

## მუხლი 16. საგრანტო განაცხადის პირობები

1. საგრანტო კონკურსის გამოცხადების თარიღს განსაზღვრავს მრჩეველთა საბჭო.

2. საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ მიმართავს რექტორს. რექტორის ბრძანებით ცხადდება კონკურსი.



3. საგრანტო განაცხადი და კვლევა უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის ძირითად საგანმანათლებლო მიმართულებებსა და უმაღლესი განათლების განვითარების პრიორიტეტებს.
4. კვლევითი პროექტი უნდა შესრულდეს და მისი შედეგები უნდა გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის სახელით, ერთობლივი პროექტი - უნივერსიტეტის სახელის გამოყენებით.
5. კვლევის შინაარსი უნდა წარმოადგენდეს სიახლეს ქართულ საგანმანათლებლო სივრცისათვის და არ უნდა იმეორებდეს უკვე შესრულებულ კვლევის/გამოცემების შინაარსს.
6. აუცილებელია კვლევაში რელევანტური, მეცნიერების თანამედროვე მიღწევების ადეკვატური წყაროებისა და კვლევის მეთოდების გამოყენება.
7. საჭიროების შემთხვევაში, საგრანტო განაცხადის ავტორს განაცხადის შეტანამდე შეთანხმებული უნდა ჰქონდეს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესაბამის მფლობელებთან ამ უფლებების შემცველი წყაროების გამოყენების საკითხი.
8. საგრანტო განაცხადის წარდგენიდან კვლევის დასრულებამდე პროექტის ყველა მონაწილეზე ვრცელდება უნივერსიტეტის ეთიკისა და აკადემიური პატიოსნების სტანდარტები.
9. საგრანტო განაცხადის პირობები უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
  - ა) ფარგლები, მიზნები და პრიორიტეტები;
  - ბ) სრული ფინანსური სახსრები, მაქსიმალური ბიუჯეტი და წინადადებების მაქსიმალური რაოდენობა პროექტის ტიპების მიხედვით;
  - გ) პროექტის სავარაუდო ხანგრძლივობა, პროექტის ტიპის მიხედვით უფლებამოსილების კრიტერიუმები და პარტნიორობის მოთხოვნები (პარტნიორთა რაოდენობა/ იურიდიული სტატუსი);
  - დ) ვადები: განაცხადების მიღების დაწყება და ბოლო ვადა, წინადადებების განხილვისა და შეფასების ვადა, შეფასების პროცესის შედეგის გამოცხადების ბოლო ვადა და წარმატებული პროექტების განხორციელების სავარაუდო დასაწყისი;
  - ე) ხარჯები: ხარჯების სახეები (პერსონალის ხარჯები, მგზავრობისა და საყოფაცხოვრებო ხარჯები, ადმინისტრაციული და ლაბორატორიული მოწყობილობები, სხვა საჭირო მომსახურება ა.შ.);
  - ვ) სხვა მოთხოვნილი დოკუმენტები (ინვოისები და სხვა შესაბამისი მტკიცებულებები).

### მუხლი 17. საგრანტო განაცხადი

1. საგრანტო განაცხადი წარდგენილი უნდა იქნეს უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ფორმებით.
2. საგრანტო განაცხადის სავალდებულო ელემენტებია:
  - ა) პროექტის დასაბუთება და საფუძველი: კვლევის სფეროში არსებული ვითარების აღწერა, წარსული და მიმდინარე საქმიანობა, დამატებითი პროექტების მიმოხილვა, ადგილობრივად განხორციელებული მსგავსი პროექტების, ან ევროპის ქვეყნების მაგალითები;
  - ბ) პროექტის ზეგავლენა: გავლენა საზოგადოებრივ გამოწვევებზე და შესაბამის დარგზე, მიზნობრივი ჯგუფები და მათი საჭიროებები, პროექტის შედეგების პოპულარიზაცია და გავრცელება;
  - გ) პროექტის სამუშაო გეგმა: საქმიანობის აღწერა, მოსალოდნელი ღონისძიებები და შედეგები, გუნდის წევრების ექსპერტიზა, საჭირო ინფრასტრუქტურა და მისი ხელმისაწვდომობა, პროექტის რისკები და რისკების შემამსუბუქებელი ღონისძიებები;
  - დ) დაფინანსების შესაძლო წყაროები და შესაძლო დახმარებები სხვა წყაროებიდან;

ე) ბიუჯეტის შეთავაზება ხარჯების დასაბუთებით;

ვ) კვლევითი გუნდის წევრების ავტობიოგრაფიები.

3. საგრანტო განაცხადები მიიღება მხოლოდ ელექტრონულად.

### **მუხლი 18. საგრანტო პროექტის შეფასება**

1. სამდივნო ამოწმებს საგრანტო პროექტის ფორმალურ მოთხოვნებს: შეიცავს თუ არა საპროექტო წინადადება ყველა სავალდებულო ელემენტს. უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში განაცხადი ვერ განიხილება მეორე ეტაპზე.

2. საგრანტო განაცხადების შესაფასებლად საკონკურსო კომისიის გარდა, მრჩეველთა საბჭო იწვევს საერთაშორისო ან ეროვნულ გარე შემფასებლებს, მათი გამოცდილებისა და დარგობრივი ცოდნის დონის მიხედვით.

3. საგრანტო განაცხადი ფასდება ორი რეცენზენტის მიერ 15 დღის ვადაში. რეცენზენტების მიერ ფასდება, შეიცავს თუ არა განაცხადი ინოვაციურ იდეებს, მკაფიოდ წარმოდგენილ მიზნებსა და კონცეფციებს, ასევე სისტემატურ და შემოთავაზებულ, კარგად შემუშავებულ სამუშაო მეთოდოლოგიებს. საპროექტო წინადადებების ხარისხი ფასდება მოსალოდნელი შედეგების სამეცნიერო აქტუალურობისა და პოტენციური დამატებული ღირებულების საფუძველზე, მათ შორის, მომავალში გარე სახსრების უზრუნველყოფის ალბათობის გათვალისწინებით. გარდა ამისა, შეფასება მოიცავს შემოთავაზებული სამუშაო გეგმის ეფექტურობის ანალიზსა და გათვალისწინებული გეგმის შესაბამისობას რესურსების გამოყენების მიზნებთან, ამოცანებთან და მოსალოდნელ შედეგებთან მიმართებით. შეფასება მოიცავს კვლევის ჯგუფის კომპეტენციების შეფასებას (იხ. დანართი 1).

### **მუხლი 18. საგრანტო პროექტის შერჩევა**

1. საკონკურსო კომისია აანალიზებს რეცენზენტების რეკომენდაციებსა და შენიშვნებს შერჩევის პროცესში.

2. საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით, შემდეგნაირად:

ა) საგრანტო განაცხადი დაკმაყოფილებულია: განაცხადი მოთხოვნილი ხარისხის დონისა და შერჩევის კრიტერიუმებს აკმაყოფილებს სრულყოფილად;

ბ) საგრანტო განაცხადი დაკმაყოფილებულია პირობითად: წინადადება განიხილება დამტკიცებულად იმ პირობით, რომ 10 დღის განმავლობაში დააკმაყოფილებს სხვა სპეციფიკურ პირობებს;

გ) საგრანტო განაცხადი არ დაკმაყოფილდა: იგი არ შეესაბამება მოთხოვნებს და არ პასუხობს შერჩევის კრიტერიუმებს.

3. შერჩევის პროცესის შედეგები ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

4. შეფასების შემდეგ "პირობითად დაკმაყოფილებულმა" საგრანტო განაცხადმა უნდა დააკმაყოფილოს დამატებითი პირობები შედეგების გამოცხადებიდან 15 დღის ვადაში.

5. განმცხადებლებს ასევე შეუძლიათ, შედეგების გამოცხადებიდან 7 დღის ვადაში ფონდში შეიტანონ საჩივრი შეფასების პროცესის შედეგებთან დაკავშირებით.

6. საჩივარი განიხილება მრჩეველთა საბჭოს მიერ წარდგენიდან 7 დღის ვადაში.

7. საკონკურსო კომისიის მიერ პირობების შესრულების შეფასების შემდეგ ქვეყნდება საბოლოო შედეგები უნივერსიტეტის ვებგვერდზე, განაცხადების მიღების ბოლო ვადის არა უგვიანეს 60 დღისა.

### **მუხლი 19. საგრანტო პროექტების მართვა**

1. გამარჯვებულ საგრანტო პროექტს მართავს სამეცნიერო-კვლევითი განვითარებისა და პროექტების მართვის სამსახური.
2. პროექტების მართვის მენეჯერი ახორციელებს პროექტების მართვასთან დაკავშირებულ საორგანიზაციო საქმიანობას და უფლებამოსილია, ზედამხედველობა გაუწიოს პროექტების მიმდინარეობას.
3. პროექტის დაწყებამდე არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა უნდა გაიმართოს პროექტის ხელმძღვანელის მოსამზადებელი, საკონსულტაციო შეხვედრა სამსახურთან.
4. საკონსულტაციო შეხვედრის დროს დგინდება საგრანტო პროექტის განხორციელების ზუსტი ვადები, პერიოდულობა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის სახეები.
5. პროექტის ხელმძღვანელი ვალდებულია, შეთანხმებული პერიოდულობით (არაუგვიანეს 3 თვისა), წარუდგინოს სამსახურს ანგარიშგება.
6. იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური მიზეზების გამო შეიცვალა პროექტის განხორციელების გარემოება, პროექტის ხელმძღვანელს უფლება აქვს, მოითხოვოს ცვლილება შემდგომი ეტაპის განხორციელებისთვის. სამსახური განიხილავს აღნიშნულ მოთხოვნას და მიიღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას, რომლის შესახებაც ეცნობება სეუ-ს იურიდიულ სამსახურს.
7. თუ პროექტის შემდგომი ეტაპით გათვალისწინებული მოქმედებები დაკავშირებულია ხარჯებთან, პროექტის ხელმძღვანელი ვალდებულია, წინასწარ შეათანხმოს სამსახურთან შესაბამისი დაფინანსების საკითხი.
8. სეუ-ს იურიდიული სამსახური აფორმებს გრანტის მიმღებ პირებთან შესაბამის ხელშეკრულებას, რომელშიც გათვალისწინებულია მხარეთა უფლება-მოვალეობები, ვადები, შესრულების პერიოდულობა და შუალედური და საბოლოო ანგარიშგების პირობები.

### **მუხლი 20. ანგარიშგება**

1. ანგარიშგება არის ორი სახის: შუალედური და საბოლოო.
2. შუალედური ანგარიშგება ითვალისწინებს შემდეგი დოკუმენტაციის წარმოდგენას:
  - ა) შესრულებული სამუშაოს დეტალური აღწერილობა;
  - ბ) მიღწეული შუალედური შედეგების აღწერა და შესაძლებლობის შემთხვევაში, სამსახურისათვის მისი წარდგენა;
  - გ) პროექტის განხორციელების შესაბამის ეტაპზე წარმოქმნილი სირთულეების/ პრობლემების აღწერა;
  - დ) თუ პროექტის ანგარიშგების ეტაპზე უკვე განხორციელდა გათვალისწინებული აქტივობები, რომლებიც დაკავშირებული იყო წინასწარ შეთანხმებულ ხარჯებთან, პროექტის ხელმძღვანელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა (ინვოისი).
3. სამსახური ვალდებულია, მხოლოდ სრულყოფილი ანგარიშგების საფუძველზე მოახდინოს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება.

## მუხლი 21. საგრანტო პროექტების დასრულება

1. საგრანტო პროექტის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა პროექტის ხელმძღვანელი წარმოადგენს:
  - ა) მთლიანი შესრულებული სამუშაოს დეტალურ აღწერილობას;
  - ბ) მიღწეული საბოლოო შედეგების აღწერილობას, საზოგადოებისა და მეცნიერების განვითარებაზე პროექტის ზეგავლენის, შედეგების მდგრადობისა და სამომავლო კვლევითი პერსპექტივის თვალსაზრისით შეფასებას. აღნიშნული მოხსენება იგეგმება და ტარდება წინასწარ შეთანხმებულ დროს.
2. საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი იღებს ვალდებულებას - მომავალში, დასრულებული პროექტის შედეგების გამოყენების შემთხვევაში, მიუთითებს, რომ პროექტი განხორციელდა სეუ-ს მხარდაჭერით.

## მუხლი 22. საგრანტო განაცხადი ლიტერატურის გამოცემისა და სტატიების გამოქვეყნების დაფინანსების თაობაზე

1. საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ თავის აკადემიურ აფილირებულ პერსონალს შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს რექტორის 2020 წლის 03 სექტემბრის № 493 ბრძანების დანართი №1-ის მე-3 მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, სრულად ან ნაწილობრივ უფინანსებს:
  - ა.ბ) სეუ-ს სახელით მომზადებულ სახელმძღვანელოს, მონოგრაფიას, მეთოდურ, სასწავლო თუ კვლევით მასალას;
  - ა.გ) სეუ-ს სახელით მონაწილეობას საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში და ა.შ.;
  - ა.დ) სეუ-ს სახელით სტატიის გამოქვეყნებას მაღალრეიტინგულ სამეცნიერო გამოცემებში.
  - ა.ე) კვლევით საქმიანობასა და აქტივობებს, მ.შ.:
2. განაცხადი წარმოდგენილი უნდა იყოს სეუ-ს მიერ დამტკიცებული შესაბამისი ფორმით.
3. სამეცნიერო-კვლევითი განვითარებისა და პროექტების მართვის სამსახური აღნიშნულ განაცხადს განიხილავს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს მორიგ სხდომაზე.
4. ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, სამსახური საკითხს აძლევს მსვლელობას. უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, პასუხი განმცხადებელს ეცნობება არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა.
5. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, საკითხი აღსასრულებლად გადაეცემა იურიდიულ სამსახურსა და ვიცე-რექტორს რესურსებისა და ფინანსების მიმართულებით.
6. აღნიშნული საგრანტო პროექტის მართვა ხორციელდება ამ დებულების მე-19, მე-20 და 21-ე მუხლებით გათვალისწინებული, პროექტის არსიდან გამომდინარე, პროცედურების დაცვით.

## თავი 5. აკადემიური კეთილსინდისიერება

### მუხლი 23. პლაგიატი

1. პლაგიატი არის ყველა ის ტექსტი/ფრაზა/იდეა/კვლევის მონაცემი, რომელსაც პირი იყენებს საკუთარ ნაშრომში ავტორის/წყაროს მითითების გარეშე.

2. წყაროდ ითვლება ის წიგნი, სტატია, სახელმძღვანელო, ბლოგი, ასევე ისეთი მასალა, რომელიც არ არის გამოქვეყნებული, თუმცა ეკუთვნის კონკრეტულ პირს.
3. უნივერსიტეტის აკადემიური საქმიანობის სტანდარტის მიხედვით, პლაგიატი აკრძალულია და იგი ეწინააღმდეგება საუნივერსიტეტო საზოგადოების ეთიკის კოდექსს.
4. პლაგიატად ჩაითვლება ნაშრომი, რომელშიც:
  - ა) ციტირებულია სხვა ავტორის აზრი (გადაწერილია ფრაზები, აბზაცი ან აბზაცის ნაწილი) და არ არის გამოყენებული ე.წ. ბრჭყალები ავტორის/წყაროს მითითებით, ან ტექსტი არ გამოიყოფა სხვა საშუალებით (მუქი შრიფტი, დახრილი შრიფტი...);
  - ბ) გაკეთებულია პერიფრაზი (წყაროდან ამონარიდი ტექსტის შინაარსის საკუთარი სიტყვებით გადმოცემა), რომელშიც ორიგინალური ტექსტის ფრაზები ოდნავ არის შეცვლილი და წარმოდგენილია როგორც საკუთარი;
  - გ) გამოყენებულია კვლევის შედეგები, მათ შორის საკუთარი (სტატია, პროექტი, წიგნი), რომელსაც არ აქვს მითითებული წყარო;
  - დ) კოპირებულია და გამოყენებულია სხვადასხვა ვებგვერდის/პორტალის მასალა (კვლევის შედეგები, ცხრილები, გრაფიკები და ა.შ.) წყაროს მითითების გარეშე.
5. პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაზე რეაგირება რეგულირებულია უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით.

#### **მუხლი 24. პლაგიატის თვითპრევენცია**

1. „უწებლიე პლაგიატისგან“ თავის არიდების მიზნით საჭიროა ზუსტი ზღვარის გავლება ე.წ. ზოგად ცოდნასა და კონკრეტული ავტორის/ავტორების მიერ შექმნილ ცოდნას შორის. თუ ნაშრომის ავტორისთვის საეჭვოა წყაროს მითითება/არმითითების საკითხი, რეკომენდირებულია, გაიაროს კონსულტაცია სხვა მეცნიერთან, ან მიუთითოს წყარო, ვიდრე ტექსტი ჩაითვალოს პლაგიატად.
2. „პერიფრაზი“ არ გულისხმობს ორიგინალი ტექსტიდან მხოლოდ ცალკეული სიტყვების შეცვლას, არამედ ნიშნავს ამ ტექსტის გარკვეული ნაწილის შინაარსის გადმოცემას საკუთარი სიტყვებით, ამასთან, ავტორისათვის დამახასიათებელი სტილით და ნაშრომის კონტექსტის გათვალისწინებით. პერიფრაზის შემთხვევაშიც აუცილებელია ავტორის/წყაროს მითითება, რადგან პერიფრაზი სხვისი აზრის გადმოცემაა.
3. „ციტირება“ არის საკუთარ ნაშრომში სხვა ავტორის აზრების/შეხედულებების გამოყენება სიტყვების შეუცვლელად გადმოტანის გზით. ციტირების შემთხვევაში, ციტირებული ტექსტი უნდა ჩაისვას ბრჭყალებში, ან გამოიყოს მუქი, დახრილი შრიფტით და მიეთითოს წყარო უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად.
4. რეზიუმირება გულისხმობს მთლიანი წყაროს, ან ამ წყაროს ნაწილის ზოგადი აზრის რეზიუმირებას და გამოყენებას ნაშრომში შესაბამისი წყაროს მითითებით.

#### **მუხლი 25. წყაროების მითითების და ციტირების სტანდარტები**

1. ნაშრომში სათანადოდ უნდა იყოს მითითებული შესაბამისი წყაროები.
2. წყაროს მითითება უნდა გაკეთდეს არაბული ნუმერაციით სქოლიოს (footnote) სახით. ტექსტში მოცემულ სქოლიოს უნდა უსწრებდეს ჩამკვეტი სასვენი ნიშანი (წერილი, ძახილის ნიშანი, კითხვის ნიშანი). სასვენ ნიშნამდე სქოლიოს გამოყენება დასაშვებია ცალკეული სიტყვის ან ტერმინის

განმარტების მიზნით;

3. ქართულ ენაზე წარმოდგენილი ნაშრომების რეკომენდებული წყაროს მითითების წესებია:

4. წიგნის პირველად მითითება:

ა) ერთი ან ორი ავტორის შემთხვევაში - ავტორ(ებ)ი, წიგნის სახელწოდება ბრჭყალებში, გამომცემლობა, წელი, გვერდი ან პარაგრაფი;

მაგალითად: თ. ჰობსი, „ლევიათანი“, პინგვინის გამომცემლობა, 1985. გვ. 268.

ბ) რამდენიმე ავტორის შემთხვევაში - პირველი ავტორი „და სხვა“ მითითებით (ავტორთა კოლექტივის შემთხვევაში: ავტორთა კოლექტივი, რედაქტორის სახელი), წიგნის სახელწოდება ბრჭყალებში, გამომცემლობა, წელი, გვერდი, ან პარაგრაფი. მაგალითად: ავტორთა კოლექტივი, რედაქტორი ა. დემეტრაშვილი, „კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელო“, გამომცემლობა „პოლივუდი“, 2005. გვ. 305.

5. წიგნის ყოველი შემდგომი მითითება - ავტორის გვარი, *იხ.* შესაბამისი პირველადი მითითების სქოლიოს ნომერი, გვერდი, ან პარაგრაფი. მაგალითად: ჰობსი, *იხ.* სქოლიო 15, გვერდი 88.

6. სტატია წიგნში: სტატიის ავტორი, სტატიის სახელწოდება, წიგნში - წიგნის მითითების წესით. მაგალითად: ფ. როუზი, „სახეობათა ევოლუცია“ წიგნში ე. ბუროუზი და ა. როჯერი (რედაქტორები), „სამართლის განსაზღვრა: ესეები პიტერ ბირკსის ხსოვნის საპატივცემულოდ“. ოქსფორდის უნივერსიტეტის პრესა, 2006.

7. პერიოდული გამოცემის სტატიის მითითება - სტატიის ავტორი, სტატიის სათაური ბრჭყალებში, გამოცემის ნომერი და გამოცემის სახელწოდება ბრჭყალებში, წელი, გვერდი ან/და პარაგრაფი. შემდგომი მითითების წესი წიგნის შემდგომი მითითების წესის ანალოგიურად.

მაგალითად: გ. კვარაცხელია, „გაუქმებულ ან ძალადაკარგულად გამოცხადებულ სადავო აქტზე საკონსტიტუციო სამართალწარმოება“, 10 „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, 2016. გვ-გვ. 45-47.

8. საგაზეთო სტატიის მითითება - ავტორი, სტატიის სათაური ბრჭყალებში, გაზეთის სათაური დახრილი ფორმატით, თარიღი, გვერდები. მაგალითად: თ. პარდოა-შიოპა, “Il carattere dell’ Europa”, *Carriere della Serra*, 2004 წლის 22 ივნისი, გვ. 1.

9. ინტერნეტ წყაროების (ბლოგები, ვებ-გვერდები) მითითება - საგაზეთო სტატიის წესის ანალოგიურად, ვებ-გვერდისა და უკანასკნელი გადამოწმების თარიღის კვადრატულ ფრჩხილებში მითითებით.

მაგალითად: მ. კლასენი, “The best interests of the child in deportation cases: An analysis of Ejimson v. Germany” *Strasbourg Observers Blog*, 2018 წლის 30 მარტი, ხელმისაწვდომია აქ: [www.strasbourgobservers.com/2018/03/30/the-best-interests-of-the-child-in-deportation-cases-an-analysis-of-ejimson-v-germany/](http://www.strasbourgobservers.com/2018/03/30/the-best-interests-of-the-child-in-deportation-cases-an-analysis-of-ejimson-v-germany/) [უკანასკნელად გადამოწმდა 2018 წლის 17 აპრილს].

10. კანონმდებლობის მითითება - მუხლის ნომერი, აქტის დასახელება, მიღების თარიღი.

მაგალითად, მუხლი 7, საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“. 31 იანვარი, 1996;

მუხლი 19, ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია 1950.

11. სასამართლო პრაქტიკის მითითება - სასამართლოს დასახელება, შესაძლებლობის შემთხვევაში, სასამართლოს აქტის ტიპი, საქმის, ან განაცხადის ნომერი, მხარეების დასახელება ბრჭყალებში, გადაწყვეტილების მიღების თარიღი, შესაბამისი გვერდი, ან პარაგრაფი.

მაგალითად: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N1/1/477 „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2011 წლის 22 დეკემბერი. პარაგრაფი 80.

მაგალითად: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N9815/82 „ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ“, 1986 წლის 8 ივნისი. პარაგრაფები 41-42.

12. ციტატის მითითების წესები განისაზღვრება შემდეგი სახით: ტექსტში ან სქოლიოში მოცემული ციტატა უნდა განთავსდეს ორმაგ ბრჭყალებში: ბრჭყალი უნდა იყოს დაბალი („), ციტატის დასრულების შემდეგ - მაღალი (”).

## **მუხლი 26. ორიგინალი ტექსტის დასაშვები მოცულობის ზღვარი**

1. აღნიშნული მუხლი ადგენს სტუდენტურ თუ სამეცნიერო კვლევით ნაშრომში ორიგინალი ტექსტის (ციტატების, პერეფრაზის და სხვა წყაროებიდან მოყვანილი ტექსტის გამოყენების გარეშე) მინიმალური მოცულობის ზღვარს.
2. სტუდენტური ნაშრომებისთვის ორიგინალი ტექსტის მოცულობის მინიმალური ზღვარია:
  - ა) საბაკალავრო ნაშრომისთვის, პრეზენტაციისთვის, პროექტისთვის - 60%;
  - ბ) სტუდენტური სტატიისთვის, ესესთვის, საკონფერენციო ნაშრომისთვის - 75 %;
  - გ) სამაგისტრო ნაშრომისთვის, პროექტისთვის - 85%;
3. სტუდენტური ნაშრომი, რომელიც არ შეესაბამება წინამდებარე მუხლის მოთხოვნებს, არ შეფასდება.
4. სამეცნიერო ნაშრომებისთვის ორიგინალი ტექსტის მოცულობის მინიმალური ზღვარია:
  - ა) სამეცნიერო სტატიისთვის - 90 %;
  - ბ) სამეცნიერო გრანტისთვის - 95 %;
5. სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომი, რომელიც არ შეესაბამება წინამდებარე მუხლის მოთხოვნებს, არ დაიშვება შესაბამის კვლევით პროექტში.
6. აღნიშნული ზღვარის დამლევა არ გამორიცხავს უნივერსიტეტის მიერ დასაშვები მოცულობის ორიგინალი ტექსტის მქონე ნამუშევრებიდან იმ ნამუშევრისთვის პრიორიტეტის მინიჭებას, რომელიც მოცულობით მეტ ორიგინალ ტექსტს შეიცავს.

## **თავი 6. უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები და აკადემიური პერსონალი**

### **მუხლი 27. სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები**

1. უნივერსიტეტის ან უნივერსიტეტის ფაკულტეტის ბაზაზე შეიძლება შეიქმნას საუნივერსიტეტო სამეცნიერო-კვლევითი ერთეული: კვლევითი ინსტიტუტი ან ცენტრი.
2. კვლევითი ერთეული უნდა ემსახურობოდეს შემდეგ მიზნებს:
  - ა) გააფართოოს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა როგორც აკადემიურ პერსონალს, ისე სტუდენტებს შორის და ხელი შეუწყოს სამაგისტრო და სადოქტორო კვლევების წარმოების ეფექტიანობას;
  - ბ) განახორციელოს ფუნდამენტური და გამოყენებადი სამეცნიერო-კვლევითი, საკონსულტაციო და საექსპერტო-ანალიტიკური მუშაობა;
  - გ) ხელი შეუწყოს სამეცნიერო კადრების მომზადებას, მათ პროფესიულ განვითარებას

ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობის უზრუნველყოფისა და პოსტდოქტორანტა კვლევითი პროექტების განხორციელების გზით;

დ) ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო პროგრამებში ინოვაციური სასწავლო მეთოდების დანერგვას და უახლესი სამეცნიერო ინფორმაციის ინტეგრირებას.

## მუხლი 28. სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტრუქტურა

1. კვლევითი ერთეული შედგება აკადემიური პერსონალისა და მმართველი ორგანოებისგან - დირექტორისა და სამეცნიერო საბჭოსგან.
2. კვლევით ერთეულში შეიძლება შეიქმნას განყოფილებები/სექტორები, ცალკეული სამეცნიერო პრობლემის ან დარგობრივი მიმართულების მიხედვით.
3. კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალი ძირითადად შედგება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისგან.
4. კონკრეტული სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განხორციელებაში მონაწილეობის მისაღებად შეიძლება მოწვეული იყოს სპეციალისტი დოქტორის აკადემიური ხარისხით, ან მის გარეშე.
5. საშტატო ერთეულის დაშვებისა და შესაბამის თანამდებობაზე პირის დანიშვნის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის რექტორი კვლევითი ერთეულის დირექტორის წარდგინების საფუძველზე.
6. კვლევითი ერთეულის ფარგლებში იქმნება სამეცნიერო საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის ინსტიტუტის ყველა წევრი/სამეცნიერო თანამშრომელი.
7. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საქმიანობას წარმართავს კვლევითი ერთეულის დირექტორი, რომელიც ამავდროულად არის ამ საბჭოს თავმჯდომარე.
8. კვლევითი ერთეულის დირექტორად რექტორის მიერ, ინიშნება დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი. იგი წარმოადგენს ინსტიტუტს/ცენტრს სხვადასხვა ორგანიზაციასა თუ დაწესებულებაში.

## მუხლი 29. სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის საქმიანობა და მისი შეფასების წესი

1. ინსტიტუტის/ცენტრის თანამშრომლები კვლევით საქმიანობას ახორციელებენ ერთობლივად ან დამოუკიდებლად.
2. ინსტიტუტის/ცენტრის სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა მოიცავს შემდეგს:
  - ა) ინსტიტუტის/ცენტრის მიერ ორგანიზებულ ადგილობრივ კონფერენციას;
  - ბ) ინსტიტუტის/ცენტრის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციას;
  - გ) ინსტიტუტის/ცენტრის მიერ მიღებულ ადგილობრივ საგრანტო პროექტს;
  - დ) ინსტიტუტის/ცენტრის მიერ მიღებულ საერთაშორისო საგრანტო პროექტს;
  - ე) ინსტიტუტის/ცენტრის კვლევით პროექტს;
  - ვ) პოსტდოქტორანტა კვლევებს;
  - ზ) ინსტიტუტის/ცენტრის მიერ ორგანიზებულ საზოგადოებრივ/სამეცნიერო საკომუნიკაციო სივრცეს (სემინარის, მასტერკლასების, დებატების, ახალი სამეცნიერო ნაშრომის განხილვას და სხვ.);
  - თ) ინსტიტუტის/ცენტრის საექსპერტო მომსახურებას.
  - ი) ინსტიტუტის/ცენტრის მიერ მომზადებული საერთაშორისო ან ეროვნული საგრანტო



პროექტი.

### მუხლი 30. ინსტიტუტის მიერ განხორციელებული კვლევითი საქმიანობის შეფასება

1. ინსტიტუტის შეფასება ხდება ამ დებულების 29-ე მუხლის მე-2 პუნქტში დასახელებული ღონისძიებების მიხედვით.
2. 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) და დ) ქვეპუნქტები ითვლება შეფასების 100 ქულიანი შეფასების 30 ქულად, ხოლო ა) გ) ე) ვ) თ) პუნქტები ითვლება შეფასების 20 პუნქტად, ხოლო ზ) და ი) პუნქტები ფასდება 10 ქულით.
3. ინსტიტუტი კვლევით საქმიანობას აფასებს ყოველწლიურად, შეფასების 100 ქულიანი სისტემით:
  - ა) AA - საუკეთესო (90-100);
  - ბ) A - კარგი (71-90);
  - გ) B - საკმარისი (51-70) ;
  - დ) C - დამაკმაყოფილებელი (31-50).

### მუხლი 31. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი

1. საუნივერსიტეტო კვლევას ახორციელებს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი.
2. უნივერსიტეტის აფილირებული პერსონალი ახორციელებს კვლევას უნივერსიტეტის სახელით.
3. წელიწადში ერთხელ ხორციელდება აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-აკადემიური პროდუქტიულობის შეფასება.
4. სამ წელიწადში ერთხელ ხორციელდება აკადემიური პერსონალის ატესტაცია.
5. ატესტაციის შედეგები მხედველობაში მიიღება აკადემიური პერსონალის საათობრივი დატვირთვის განხილვისას და ასევე, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელად შერჩევისას.
6. აკადემიური პერსონალის პროდუქტიულობის მაჩვენებელი გათვალისწინებული იქნება მისი სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისას.

### მუხლი 32. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასება

1. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობა ფასდება შემდეგი ოთხი კრიტერიუმით:
  - ა) სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნება;
  - ბ) სამეცნიერო გრანტის მოპოვება/ პროექტში მონაწილეობა;
  - დ) სამეცნიერო აქტივობებში მონაწილეობა;
  - ე) სამეცნიერო ცოდნის გაზიარება.
  - ვ) სხვა ისეთი საქმიანობა, რომელიც მოიცავს კვლევის ელემენტებს.

შესაბამისი კრიტერიუმები დადგენილია **დანართი 2-ის მიხედვით.**

2. აკადემიური პერსონალის ყოველწლიური სამეცნიერო საქმიანობის ქულები ჯამდება და პროდუქტიულობის მაჩვენებელი იყოფა შემდეგ დონეებად: პროფესორებისთვის 30 ქულა, ასოც. პროფესორებისთვის 20 ქულა და ასისტენტ პროფესორებისთვის 10 ქულა.

ა) გადააჭარბებით არის შესრულებული: მინიმუმ 50%-ით მეტი ქულები მოსალოდნელ რაოდენობასთან შედარებით (მაგალითად, თუ პროფესორმა საანგარიშო წლის განმავლობაში დააგროვა 31 ქულაზე მეტი, ან ასოც. პროფესორმა 21 ქულაზე მეტი, და ასისტ. პროფესორმა 11 ქულაზე მეტი);

ბ) შესრულებულია: შეესაბამება პუნქტების მოსალოდნელ რაოდენობას (თუ პროფესორმა საანგარიშო წლის განმავლობაში დააგროვა 31-დან 45 ქულამდე, ან ასოც. პროფესორმა 20 დან 29 ქულამდე, და ასისტ. პროფესორმა 10-დან 15 ქულამდე);

გ) არ არის შესრულებული: დაბალია ვიდრე ქულათა მოსალოდნელი რაოდენობა პროფესორებისთვის 29 ქულამდე; ასოც. პროფესორებისათვის 19 ქულამდე; ასისტენტ პროფესორისათვის 9 ქულამდე.

### **მუხლი 33. ფაკულტეტების კვლევითი პროდუქტიულობის შეფასება**

1. სამსახური, სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით ვიცე-რექტორის ზედამხედველობით აფასებს ცალკეულ ფაკულტეტებს და ამზადებს ანგარიშებსა და რეკომენდაციებს.
2. შესაბამისი ანგარიში წარედგინება ფაკულტეტის დეკანს, ფაკულტეტის საბჭოებს და აკადემიურ საბჭოს.

### **თავი 7. სამეცნიერო ჟურნალები**

#### **მუხლი 34. სამეცნიერო ჟურნალები**

1. უნივერსიტეტი გამოსცემს სამეცნიერო ჟურნალებს „სეუ & მეცნიერება“ და „სოციალურ მეცნიერებათა ვექტორები“.
2. უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი გამოიცემა 6 თვეში ერთხელ.
3. კონკრეტული მიმართულების სამეცნიერო სტატიები შესაძლებელია გამოიცეს უნივერსიტეტის რიგგარეშე, სპეციალურ გამოცემაში, კრებულის სახით.
4. ჟურნალი დაყოფილია ძირითად მიმართულებებად, რომლებიც შეესაბამება უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის ძირითად მიმართულებებს.
5. უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალში სტატიის განთავსება უფასოა და კვლევითი ნაშრომის პუბლიკაციასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი ფინანსდება უნივერსიტეტის მიერ.
6. სტუდენტების კვლევითი უნარების გასაუმჯობესებლად, უნივერსიტეტი ორგანიზებას უწევს სტუდენტურ კონფერენციებს და გამოსცემს სტუდენტთა მოხსენებს.

### **თავი 8. დასკვნითი დებულებები**

#### **თავი 35. დებულების ძალაში შესვლა**

ეს დებულება ამოქმედდეს რექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცების დღიდან.